დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
შპს თაობა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ქეთევან ბოტკოველი **წევრ(ებ)ი:** კესო ბოყოველი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს თაობა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ 445474415**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. ბათუმი**
ფაქტობრივი მისამართი	**ბათუმი, რურუას ქ.10**
საფოსტო ინდექსი	**6000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://taoba.edu.ge/ka**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**schooltaoba@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**593 30 06 08/597 02 07 06**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2026 წლის 08 ივნისის ბრძანება MES 8 26 0000683279**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**2026 წლის 16 ივნისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა და დასკვნის პროექტი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 26 მაისის №573396 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2026 წლის 28 მაისს ცენტრში შემოსულ N634872 განცხადებაში ასახული გარემოებების შესწავლა და მათი შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

აღნიშნული დავალების ფარგლებში, 2026 წლის 16 ივნისს, შპს „თაობაში" (ს/კ: 445474415), ქ. ბათუმში, განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა განცხადებაში მითითებული გარემოებები, გააანალიზა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეაფასა ავტორიზაციის პირობების შესრულების მდგომარეობა.

1. **ადმინისტრაციული საჩივრის საგანი**

2026 წლის 28 მაისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ეხებოდა შპს „თაობაში" მოსწავლის უფლებების დაცვისა და დისციპლინური წარმოების კანონიერების საკითხებს. საჩივრის საგანს წარმოადგენდა მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისციპლინური ღონისძიებების, სასწავლო პროცესიდან ჩამოშორების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების კანონიერებისა და მოქმედ უფლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

2. **ფაქტობრივი გარემოებები საჩივრის ავტორის პოზიციიდან**

საჩივრის ავტორის განცხადებით ირკვევა, რომ შპს „თაობაში" 2026 წლის მაისის დასაწყისში მე-9 კლასის მოსწავლეებს შორის განხორციელდა კომუნიკაცია სოციალური ქსელის Facebook-ის დახურულ ჩატში, რომელიც წარმოადგენდა მოსწავლეთა არაფორმალური ურთიერთობის სივრცეს.
აღნიშნულ კომუნიკაციაში მოსწავლეები განიხილავდნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის მასწავლებლის ქცევასა და გაკვეთილის მიმდინარეობას. კომუნიკაციის ფარგლებში ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოიყენა ფრაზა: **„ზედმეტად tight იყო მასწავლებელი"**.
საჩივრის ავტორის განმარტებით, ტერმინი **„tight"** ახალგაზრდულ სლენგში გამოიყენება პიროვნების ქცევის შეფასების მიზნით და აღნიშნავს ზედმეტად მკაცრ, მომთხოვნ ან დაძაბულ დამოკიდებულებას, რის გამოც აღნიშნული გამოთქმა არ შეიცავს შეურაცხმყოფელ ან დისციპლინურ დარღვევად კვალიფიცირებად შინაარსს.
აღნიშნული მიმოწერა გახდა მასწავლებლისთვის ცნობილი, რის შემდეგაც ინფორმაცია გადაეცა სკოლის ადმინისტრაციას. ადმინისტრაციამ ფრაზის შინაარსი შეაფასა ნეგატიურ კონტექსტში და მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები დაუყოვნებლივ ჩამოაშორეს საგაკვეთილო პროცესს, რაც განხორციელდა ყოველგვარი წერილობითი ადმინისტრაციული აქტის, წინასწარი გაფრთხილების ან სამართლებრივი განმარტების გარეშე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული საკითხი **არ გადაცემია დისციპლინურ კომისიას კანონითა და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით**. კერძოდ:

- არ განხორციელებულა დისციპლინური წარმოების ინიცირება;
- არ ჩატარებულა დისციპლინური კომიტეტის სხდომა;
- არ განისაზღვრა განხილვის თარიღი;
- არ განხორციელებულა მხარეთა წინასწარი შეტყობინება;
- მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს არ მიეცათ პროცესში მონაწილეობისა და დაცვის უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

შესაბამისად, მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორება განხორციელდა ერთპიროვნული ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სკოლაში გამართული კომუნიკაციისას მშობელს განემარტა, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესი დასრულებულად მიიჩნეოდა და რეკომენდაცია მიეცა მისი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

ინციდენტის შემდგომ პერიოდში მოსწავლე სრულად ჩამოაშორეს საგანმანათლებლო პროცესს. სკოლამ **არ უზრუნველყო ალტერნატიული სწავლების მექანიზმები, არ განხორციელდა სასწავლო მასალების სისტემური მიწოდება და მოსწავლე დარჩა საგანმანათლებლო პროცესის მიღმა.**

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ:

- მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორება განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;
- საქმე არ გადაცემია დისციპლინურ კომისიას;
- დაირღვა მოსწავლისა და მშობლის მოსმენის უფლება;
- არ განხორციელებულა ინდივიდუალური და პროპორციული შეფასება;
- მოსწავლეს შეეზღუდა განათლების უფლება.

საჩივრის ავტორის პოზიციით, აღწერილი გარემოებები ეწინააღმდეგება:

- საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლს (განათლების უფლება);
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მე-8 მუხლს (პროცედურული სამართლიანობა);
- მე-13 მუხლს (მოსწავლის უფლებები დისციპლინური წარმოებისას);
- მე-19 მუხლს (მოსწავლის მზრუნველობა და სასწავლო პროცესის უწყვეტობა);

- „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პრინციპებს;
- სკოლის შინაგანაწესსა და დისციპლინური კომიტეტის დებულებას;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელ ნორმებს.

საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსწავლის მიმართ გამოყენებული ღონისძიება არის არაპროპორციული, პროცედურულად გაუმართლებელი და განხორციელებულია დისციპლინური კომიტეტის გვერდის ავლით, რაც არსებითად არღვევს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპებს.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დანართები

- მოსწავლეთა ჩატის ამონარიდი (ფოტომასალა)
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა;
- შპს თაობის დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- საჩივრის ავტორის პირდაობის მოწმობა;
- სასწავლო მომსახურების ხელშეკრულება;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრებები გამართა სკოლის დირექტორთან, ფსიქოლოგთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებთან. აღნიშნული გასაუბრებების ფარგლებში სკოლის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს საკუთარი პოზიცია და დეტალურად აღწერეს ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებები.

სკოლის პოზიცია

2026 წლის 19 მაისს შპს „თაობის“ მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა (თ. თ.) მიმართა სკოლის ხარისხის ჯგუფის წევრს და აცნობა ინციდენტის შესახებ. მასწავლებლის განმარტებით, მე-9ა კლასის მოსწავლეების მიერ შექმნილ დახურულ ჩატში დაფიქსირდა მის მიმართ მიზანმიმართული შეურაცხმყოფელი კომუნიკაცია. მასწავლებელი იმ მომენტში იყო ემოციურად დაძაბული და ითხოვდა ადმინისტრაციისგან შესაბამის კონსულტაციასა და რეაგირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის ჯგუფის წევრის რეკომენდაციით, მასწავლებელს განემარტა, რომ ინციდენტის ოფიციალური განხილვის მიზნით საჭიროა სკოლის დირექტორის სახელზე წერილობითი განცხადების წარდგენა შესაბამისი მტკიცებულებების დართვით. იმავე დღეს მასწავლებელმა მიმართა სკოლის დირექტორს განცხადებით და თან დაურთო ე.წ. „სქრინშოტები“, სადაც, სკოლის შეფასებით, ნათლად იკვეთებოდა სამი მოსწავლის მხრიდან მასწავლებლის მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის კომუნიკაცია.

მასწავლებლის განმარტებით, აღნიშნული ჩატის არსებობის შესახებ მან 19 მაისს შეიტყო, რადგან მიმოწერა მის Facebook Messenger-ში მოხვდა „სპამების“ კატეგორიაში. მასწავლებელი აღნიშნულ ჩატში ადრეც იმყოფებოდა, თუმცა დაახლოებით მარტის პერიოდში დატოვა იგი, რადგან ჩატი არ წარმოადგენდა სკოლის მიერ ორგანიზებულ ან აკადემიური მიზნებისთვის გამოყენებულ სივრცეს.

სკოლის განმარტებით, როდესაც მოსწავლეებმა მასწავლებელი კვლავ დაამატეს ჩატში, პლატფორმამ შეტყობინებები „სპამში“ გადაანაწილა, რის გამოც მასწავლებელმა მხოლოდ მოგვიანებით შეამჩნია აღნიშნული მიმოწერები და დაუყოვნებლივ აცნობა სკოლის ადმინისტრაციას.

ინფორმაციის მიღების შემდეგ, სკოლის დირექტორმა, სკოლის ფსიქოლოგთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მე-9 კლასის სამი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესიდან 5 დღის ვადით დათხოვნის შესახებ. სკოლის პოზიციით, აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა შემთხვევის სრულყოფილი შესწავლის უზრუნველყოფას, დამატებითი დაძაბულობის თავიდან აცილებას კლასში და მოსწავლეთათვის საკუთარი ქცევის გააზრებისა და პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობის მიცემას.

სკოლის ფსიქოლოგის განმარტებით, მოსწავლეთა დათხოვნის რეკომენდაცია ეფუძნებოდა მოსწავლეთა ქცევის გააზრების, შედეგებზე დაფიქრებისა და შემდგომი ქცევითი კორექციის ხელშეწყობის მიზანს.

იმავე დღეს, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ განხორციელდა მოსწავლეთა მშობლების ინფორმირება ინციდენტის შესახებ ზოგადი ფორმით და ეცნობათ დირექტორის გადაწყვეტილება სკოლაში მოსწავლეთა დროებითი არგამოცხადების შესახებ. ასევე განემარტათ, რომ 20 მაისს გაიმართებოდა შეხვედრები მშობლებთან დირექტორის მონაწილეობით და მათ ოფიციალურად ეცნობოდათ დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, 20 მაისს სკოლაში გამოცხადდა ორი მოსწავლის მშობელი, ხოლო ერთი მოსწავლის მშობელი იმყოფებოდა ქალაქის ფარგლებს გარეთ. დირექტორმა თითოეულ მშობელთან ინდივიდუალურად გამართა შეხვედრა. შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული ინციდენტის გარემოებები და წარმოდგენილ იქნა მასწავლებლის განცხადებაზე დართული მტკიცებულებები (სქრინშოტები).

სკოლის პოზიციით, აღნიშნული მასალების ჩვენების მიზანი იყო მშობლების მიერ შემთხვევის კონტექსტის სრულფასოვანი აღქმა. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ჰქონდა წვდომა შვილის სოციალური ქსელის მიმოწერებზე, გადაამოწმა წარმოდგენილი მასალების ავთენტურობა და დაადასტურა მათი შესაბამისობა.

დირექტორმა მშობლებს გააცნო მიღებული გადაწყვეტილება მოსწავლეთა 5-დღიანი დათხოვნის შესახებ და განმარტა აღნიშნული ღონისძიების მიზნები. სამივე მშობელმა გამოხატა ემოციური რეაქცია ინციდენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოებები მათთვის მიუღებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იყო. მათ ასევე განაცხადეს, რომ დათხოვნის პერიოდის დასრულების შემდეგ არ განიხილავდნენ მოსწავლეების დაბრუნებას იმავე სკოლაში და გამოთქვეს სურვილი მათი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ესმის მშობლების ემოციური მდგომარეობა, თუმცა განმარტა, რომ პროცესის წარმართვისას პრიორიტეტი არის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა და მათ გააცნო მობილობის ადმინისტრაციული პროცედურა.

იმავე დღეს ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა (ზ.ბ.) მიმართა სკოლის ადმინისტრაციას სწავლის საფასურის დავალიანების დაზუსტების მიზნით. მას განემარტა, რომ დავალიანება არ არსებობდა. შემდგომ მან მოითხოვა მოსწავლის პირადი საქმის გატანა, რაზეც ადმინისტრაციამ განუმარტა, რომ მობილობა ხორციელდება ელექტრონული პროცედურის მეშვეობით და პირადი საქმე გაიგზავნებოდა მხოლოდ შესაბამისი განაცხადის სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ.

21 მაისს იგივე მოსწავლის მშობელი (ზ.ბ.) კვლავ გამოცხადდა სკოლაში და მოითხოვა შეხვედრა ადმინისტრაციასთან. დირექტორის არყოფნის გამო მას შეხვდნენ ხარისხის ჯგუფის წევრები. შეხვედრას ესწრებოდა მშობლის თანმხლები პირი, რომელმაც თავი წარმოადგინა როგორც განათლების სფეროს ექსპერტი. აღნიშნულმა პირმა გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებები სკოლის ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ არ იყო დეტალურად ინფორმირებული საქმის ყველა გარემოების შესახებ.

სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრობა, სამართლებრივი ჩარჩო და ის მიზანი, რომელიც უკავშირდებოდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამავე შეხვედრაზე თანმხლებმა პირმა ეჭვქვეშ დააყენა მასწავლებლის პროფესიული ქცევა და კვალიფიკაცია, რაზეც სკოლის მხრიდან განემარტა, რომ მასწავლებელი წარმოადგენს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგს და მის პროფესიულ საქმიანობაში არ დაფიქსირებულა ეთიკური დარღვევის ფაქტები.

სკოლის განმარტებით, ჩატარებული ანონიმური შიდა გამოკითხვების შედეგების მიხედვით (2026), რომელსაც სკოლა მუდმივად მიმართავდა, მოსწავლეთა უმრავლესობა მიუთითებდა მასწავლებლის მიმართ კეთილგანწყობილ და პატივისცემაზე დაფუძნებულ დამოკიდებულებაზე, ხოლო სასწავლო გარემო შეფასებული იყო როგორც უსაფრთხო.

თანმხლებმა პირმა დაადასტურა, რომ არ განიხილავდა მოსწავლეების სკოლაში დაბრუნებას, თუმცა მოითხოვა ინციდენტის სრულყოფილი შესწავლა და მასწავლებლის ქცევის დამატებითი შეფასება.

სკოლის პოზიციით, ადმინისტრაცია ცდილობდა ინციდენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მინიმიზაციას, რათა თავიდან აეცილებინა არასაჭირო სოციალური დაძაბულობა და სასკოლო გარემოს დაზიანება.

5 დღიანი დათხოვნის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე დაბრუნდა სკოლაში. სკოლის შეფასებით, მოსწავლე არ განიცდიდა ზეწოლას სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლის ფსიქოლოგთან ჩატარებული შეხვედრისას მოსწავლემ გამოხატა თანამშრომლობითი დამოკიდებულება, სინანული და პასუხისმგებლობის აღების მზაობა. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია მოსწავლის ქცევის შემდგომი მონიტორინგი და პოზიტიური ქცევითი მოდელების გაძლიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის პოზიციით, საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, რაც ხორციელდება როგორც ყოველდღიური პრაქტიკით, ისე გრძელვადიანი სასწავლო პროგრამებითა და კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებით.
შემდგომ ეტაპზე, ერთ-ერთი მოსწავლის (გ.ბ.) მშობელთან განხორციელდა კომუნიკაცია მისი საბოლოო პოზიციის დაზუსტების მიზნით. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შესახებ.
საბოლოოდ, 2026 წლის 29 მაისს სკოლაში შევიდა მობილობის მოთხოვნა ერთ-ერთი მოსწავლის (დ.ბ.) შესახებ, რომელიც სკოლის მიერ დაკმაყოფილდა მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა მიგნებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, ფსიქოლოგთან, მშობლებთანა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებების, აგრეთვე საქმის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საჩივარში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები - ამონარიდი მოსწავლეთა მიმოწერიდან, სრულად არ ასახავდა ინციდენტის რეალურ კონტექსტსა და მასშტაბს.

კერძოდ, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ჩატის მხოლოდ ცალკეული ამონარიდები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ინციდენტი შემოიფარგლებოდა მასწავლებლის მისამართით გამოყენებული ცალკეული შეფასებითი გამონათქვამებით. თუმცა, სკოლის მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი სრული მასალებისა და შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმოწერა შეიცავდა მასწავლებლის მიმართ უხეშ, დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, რომლებიც სცილდებოდა კრიტიკული ან ემოციური შეფასების ფარგლებს და ეწინააღმდეგებოდა სასკოლო საზოგადოების ეთიკურ ნორმებსა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ინციდენტი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სენსიტიურობითა და ეთიკური სირთულით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციამ, სკოლის ფსიქოლოგთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლეთა სასწავლო პროცესიდან დროებით, 5 სასწავლო დღის ვადით დათხოვნის შესახებ (დირექტორის ბრძანება). სკოლის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიების მიზანს არ წარმოადგენდა მოსწავლეთა დასჯა, მათი საგანმანათლებლო სივრციდან გარიყვა ან მათი განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, არამედ სკოლის მიერ გატარებული ღონისძიება მიზნად ისახავდა მოსწავლეებისთვის საკუთარი ქცევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრების, პასუხისმგებლობის აღებისა და განხორციელებული ქმედების შედეგებზე დაფიქრების შესაძლებლობის მიცემასა და სასკოლო გარემოში დამატებითი დაძაბულობის პრევენციას.

საქმის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ინციდენტის შემდგომ სკოლამ უზრუნველყო მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება. იმავე დღეს, მშობლებს სკოლის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და აცნობეს მომდევნო დღეს დირექტორთან შეხვედრის აუცილებლობის შესახებ (აღნიშნული დასტურდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიმოწერის შესწავლით). შეხვედრების ფარგლებში დირექციის წარმომადგენლება გააცნეს მშობლებს ინციდენტის გარემოებები და მიაწოდეს ის მასალები, რომლებიც, სკოლის შეფასებით, ადასტურებდა მოსწავლეთა მხრიდან მასწავლებლის მიმართ განხორციელებულ შეურაცხმყოფელ კომუნიკაციას.

აღსანიშნავია, რომ საქმის შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ დევნის, სტიგმატიზაციის ან მათი სასკოლო საზოგადოებიდან გარიყვის მიზანი. პირიქით, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მიღებული გადაწყვეტილებები მიმართული იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების, სასკოლო გარემოს უსაფრთხოებისა და პედაგოგის ღირსების დაცვისკენ.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა სკოლის კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, სასწავლო რესურსები, პროექტები და აქტივობები, რომლებმაც დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემურად მუშაობს ისეთი ღირებულებების განვითარებაზე, როგორიცაა თანაგრძნობა, ემპათია, ადამიანის უფლებები, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, ურთიერთპატივისცემა და ბულინგის პრევენცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ სხვადასხვა საფეხურზე მოქმედი პროგრამები და სასწავლო კურსები მოიცავს თემებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანის ღირსების პატივისცემას, თანასწორობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ზრუნვასა და ემპათიას. ასევე დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად ახორციელებს პრევენციულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს უსაფრთხო, ინკლუზიური და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ფორმირების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი პროექტი „თაობა თაობისთვის“ ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად მუშაობს ზემოაღნიშნულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბულინგის პრევენციას, სტერეოტიპების დაძლევას, სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას, ემოციურ კეთილდღეობასა და ურთიერთპატივისცემის კულტურის განმტკიცებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით დგინდება, რომ განხორციელებული აქტივობები პირდაპირ უკავშირდება ემპათიის, სოლიდარობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის ღირებულებების განვითარებას. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლის პოლიტიკა ორიენტირებულია არა მხოლოდ დისციპლინურ რეაგირებაზე, არამედ პრევენციული, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით სკოლიდან დათხოვნის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ლეგიტიმურ მექანიზმს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ღონისძიება არ ხელყოფს და არ ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ განათლების მიღების უფლებას. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობას, თუმცა ნებისმიერი უფლება გულისხმობს როგორც შესაბამის პასუხისმგებლობებს, ისე სხვა პირთა უფლებების პატივისცემას. სკოლიდან დათხოვნა არ ნიშნავს განათლების უფლების სრულ ანულირებას, ვინაიდან არსებობს ალტერნატიული მექანიზმები, რათა მოსწავლე არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. **ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი „სქულბუქის“ მასალებით დადასტურდა, რომ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსები, დავალებები და სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული ფორმით. შესაბამისად, მოსწავლეებს არ შეზღუდვიათ სასწავლო მასალებზე წვდომა და უზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელების შესაძლებლობა დისტანციური საშუალებების გამოყენებით, რაც მიუთითებს, რომ გამოყენებული ღონისძიება არ ისახავდა მიზნად განათლების უფლების შეზღუდვას.**

საჩივარში, ასევე, აღნიშნული იყო მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სავარაუდო დარღვევის საკითხიც. დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს მარეგულირებელი შიდა დოკუმენტები, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ინციდენტზე რეაგირების გეგმა, ელექტრონული ფოსტის გამოყენების წესი და სხვა, ხოლო პროცესებზე ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, მშობლებისთვის არ ყოფილა გაზიარებული მოსწავლეთა პირადი მიმოწერის სრული ვერსია ან მათი პირადი ცხოვრების ამსახველი რაიმე სახის ინფორმაცია. ადმინისტრაციის განმარტებით, გამოყენებულ იქნა მხოლოდ ჩატის კონკრეტული ამონარიდი, რომელიც უშუალოდ ასახავდა დისციპლინურ გადაცდომას. ამონარიდში იდენტიფიცირებადი იყო მხოლოდ მოსწავლეთა სახელები, ხოლო მიმოწერის სრული შინაარსი და სხვა დეტალები არ გამჟღავნებულა.

ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლივი შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინციდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს მისი სრული კონტექსტის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული, საგანმანათლებლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად მუშაობს უსაფრთხო, ღირსებაზე დაფუძნებული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნის მიმართულებით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები, სკოლის განმარტებით, ემსახურებოდა მოსწავლეთა ქცევის გააზრებას, პასუხისმგებლობის განვითარებასა და სასკოლო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვას.

მობილობის პროცესის შეფასება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა მობილობასთან დაკავშირებული ორი ცალკეული შემთხვევა განხორციელდა.

ერთ შემთხვევაში, მოსწავლემ სასწავლო პროცესი დატოვა დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში და სწავლა გააგრძელა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საქმის მასალებით არ იკვეთება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სკოლის მხრიდან იძულებით იქნა მიღებული ან მოსწავლის მიმართ განხორციელდა ზეწოლა მობილობის განსახორციელებლად.

მეორე შემთხვევაში, წარმოდგენილია შპს „თამარისის“ დირექტორის 2026 წლის 29 მაისის N01-09/93 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია მოსწავლის პირადი საქმის გადაცემა და დასტურდება მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურის დაწყება მიმღებ სკოლაში. აღნიშნული მოთხოვნა უკავშირდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გამოხატულ ნებას მობილობის განხორციელების შესახებ.

ამასთან, საქმის მასალებში წარმოდგენილია სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერის წარმომადგენლის მიმოწერის სქრინშოტი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს ეცნობა, რომ მას შესაძლებლობა ეძლევა 2026 წლის 1 ივნისიდან დაბრუნდეს სკოლაში და დაასრულოს სემესტრი. აღნიშნული კომუნიკაცია მიუთითებს, რომ სკოლის მხრიდან არსებობდა მოსწავლის სასწავლო პროცესში დაბრუნებისა და სწავლების გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს სკოლის მხრიდან მოსწავლეთა იძულებით მობილობას, მათი სასწავლო პროცესიდან განზრახ გამოთიშვას ან ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც მობილობის პროცესს არანებაყოფლობით ხასიათს მიანიჭებდა.

შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების ერთობლივი შეფასების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მობილობის ორივე შემთხვევა განხორციელდა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით, ხოლო სკოლის მხრიდან არ იკვეთება იძულებითი ან არასათანადო ზემოქმედების ფაქტები.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მობილობის პროცესში დაცულია ძირითადი სამართლებრივი მოთხოვნები, კერძოდ:

- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გამოხატულია ნება მობილობის განხორციელების შესახებ;
- გამგზავნმა სკოლამ გამოსცა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული აქტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მიმღებმა სკოლამ მიიღო მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება;
- უზრუნველყოფილი იქნა მოსწავლის პირადი საქმის გადაცემა.

ამასთან, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მობილობის მოთხოვნა განხორციელდა მოსწავლის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების პერიოდში. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იკვეთება, რომ სკოლის მხრიდან განხორციელდა მოსწავლის იძულება, დევნა ან ისეთი ქმედება, რომელიც მობილობას გახდიდა იძულებით ან ფორმალურად ნებაყოფლობით პროცესად.
შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მობილობა განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ მესამე მოსწავლის შემთხვევაში დაფიქსირდა განსხვავებული ფაქტობრივი გარემოება.

კერძოდ, საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ აღნიშნულმა მოსწავლემ გააანალიზა საკუთარი ქცევა, გააცნობიერა განხორციელებული შეცდომა და სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის აღდგენის მიზნით დაბრუნდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მოსწავლემ საჯაროდ გამოხატა სინანული და მოიხადა ბოდიში შესაბამისი მასწავლებლის მიმართ. მოსწავლის დაბრუნების შემდეგ უზრუნველყოფილ იქნა მისი შეუფერხებელი ჩართვა სასწავლო პროცესში და მას არ შეზღუდვია განათლების მიღების უფლება. შესაბამისად, იგი აგრძელებს სწავლას შესაბამის კლასში, სრულად ჩართულია სასწავლო პროცესში და სარგებლობს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით. აღნიშნული საკითხი დამატებითი მყარი არგუმენდი აღმოჩნდა ექსპერტებისათვის. ის ფაქტი რომ ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩვეულებრივ დაასრულა სასწავლო წელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო გაეგრძელებინა სწავლა და ამ საკითხში ისინი სკოლისაგან წინააღმდეგობას არ მიიღებდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის შესწავლის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლინდა სკოლის მიერ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პროცედურული ხასიათის ხარვეზები. მიუხედავად ინციდენტის სიმძიმისა და სკოლის ლეგიტიმური მიზნისა - უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, მასწავლებლის ღირსების დაცვა და მოსწავლეთა მიერ საკუთარი ქცევის გააზრების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნების მიღწევის პროცესში სკოლამ სრულად ვერ უზრუნველყო კანონმდებლობითა და საკუთარი შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პროცედურების დაცვა.

კერძოდ, სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლის 1.5 პუნქტისა და 2.6 პუნქტის, ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება მოსწავლის სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნა, ხოლო 5-დან 10 დღემდე ვადით დათხოვნის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური კომიტეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმის მასალებით დგინდება, რომ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსწავლის ზუსტად 5 დღით დათხოვნის შესახებ ეფუძნებოდა „5 დღემდე“ ვადის ინტერპრეტაციას, რაც სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით გამოწვეული იყო ნორმის არაზუსტი გაგებით და არა განზრახი დარღვევით.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული განმარტება არ გამორიცხავს პროცედურული დარღვევის არსებობას, ვინაიდან დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, კონკრეტული ვადით - 5 დღით - დათხოვნის გადაწყვეტილება საჭიროებდა შესაბამისი პროცედურული გარანტიების სრულად დაცვასა და დისციპლინური წარმოების სათანადო ეტაპების გავლას, მათ შორის საკითხის დისციპლინური კომიტეტის კომპეტენციაში მოქცევის შეფასებას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სკოლის მიერ მოსწავლის 5 დღით სასწავლო პროცესიდან დათხოვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა როგორც სკოლის შინაგანაწესით, ისე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია მეოთხე სტანდარტის ინდიკატორი 4.1.1.1 — „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფა“.

საბოლოო დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ:

- ინციდენტის შინაარსი რეალურად შეიცავდა ეთიკური დარღვევის ელემენტებს;
- სკოლამ განახორციელა რეაგირება ლეგიტიმური მიზნებით (უსაფრთხო გარემო, მასწავლებლის დაცვა);
- თუმცა დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას **არ იყო დაცული პროცედურული მოთხოვნები**.
- ამასთან, დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად ახორციელებს სისტემურ მუშაობას მოსწავლეთა მხარდაჭერის, უსაფრთხო გარემოსა და ღირებულებითი განათლების მიმართულებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- IX კლასის მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი
- VIII ა კლასის მოსწავლეთა კითხვარის ანალიზი
- VII ა კლასის მოსწავლეთა კითხვარის ანალიზი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- შპს თაობა სამოქმედო გეგმა (2025-2026)
- შპს თაობა სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში (2025-2026)
- შპს თაობა სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი)
- მე-7 კლასის კურიკულუმი საგანი იდეები და ღირებულებები (თემა ადამიანის დანიშნულება, სიკეთის არსი)
- მე-8 კლასის კურიკულუმი საგანი იდეები და ღირებულებები თემა თანაგრძნობა, ზრუნვა, ამპარტავნება
- მე-9 კლასის კურიკულუმი საგანი იდეები და ღირებულებები თემა სამართლიანობა და თავისუფლება
- მე-10 კურიკულუმი საგანი იდეები და ღირებულებები თემა განმანათლებლობა. თემა სამომხმარებლო საზოგადოება
- მე-7 კლ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო მსოფლიო ლიტერატურა ძირითადი მასალა - პატარა პრინცი
- მე-9 კლ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო მსოფლიო ლიტერატურა თემა და მასალა - მოხუცი და ზღვა ბუზთა ბატონი
- მე-10 კლასი ქართული კურიკულუმი
- მე-11 კლასი ქართული კურიკულუმი
- მე-12 კლასი ქართული კურიკულუმი
- მე-9 კლასი მოქალაქეობა კურიკულუმი
- მე-4 კლასი მე და საზოგაადოება კურიკულუმი
- მე-3 კლასი მე და საზოგაადოება კურიკულუმი
- კურიკულუმი ზღაპართერაპია II
- კურიკულუმი ზღაპართერაპია III
- კურიკულუმი ზღაპართერაპია IV
- კურიკულუმი_სიბრძნე V
- კურიკულუმი_სიბრძნე VI
- პროექტი - თაობისათვის (აქტივობები)
- სქულბუქი - ქართული მე-9 კლასი
- სქულბუქი - ქართული მე-9 კლასი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სქულბუქი - ინგლისური მე-9 კლასი
- სქულბუქი - ბიოლოგია მე-9 კლასი
- სქულბუქი - ისტორია მე-9 კლასი
- სქულბუქი - იდეები და ღირებულებები მე-9 კლასი
- სქულბუქი - მსოფლიო ლიტერატურა მე-9 კლასი
- ხელშეკრულება შპს თაობა - პერსონალური მონაცემების დაცვა
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის დოკუმენტი
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა
- დასაქმებულის გაფრთხილების ფორმა სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებით.
- თანამშრომლის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს
- 16 წლამდე მოსწავლის მშობლის თანხმობა
- 16 წლის მოსწავლის თანხმობა
- 16 - 18 წლამდე მოსწავლის მშობლის თანხმობა
- ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების პოლიტიკა
- პერსონალურ მონაცემთა შემცველი დოკუმენტების განადგურება
- სამუშაო ადგილზე ელექტრონული ფოსტის გამოყენების პოლიტიკა
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება
- მშობელთან ხელშეკრულება
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლისკანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (1)
- ბრძანება მოსწავლეების სასწავლო პროცესიდან დათხოვნის შესახებ და დანართი განცხადება
- ბრძანებების წიგნი
- მოსწავლეთა ჩატის სქრინები
- გ.ბ. -ს მშობელთან კომუნიკაციის დადასტურება
- გ.ბ.-ს გაცდენების სტატისტიკა
- მშობელთა ღია კარის დღეებზე (ე.წ. კრებებზე) შესავსები შაბლონი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აქტივობები და პროექტები
- მშობელთან მიმოწერის სქრინი
- მოთხოვნა მობილობასთან დაკავშირებით
- მობილობის დადასტურება 1
- მობილობის დადასტურება
- გიორგი ბერიძის განცხადება გადაყვანასთან დაკავშირებით

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი).
წევრი: კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

09.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: